# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
# GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge




საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი • გამოდის 1931 წლის 10 სექტემბრიდან • №10 • მაისი–ივნისი, 2016 წელი • ფასი 80 თეთრი



## საქართველოში ნახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობა აგვისტოში დაიწყება გვ.2



## მაჟორიტარი დეპუტატი, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, „საქნახშირის" მონიტორინგის შედეგებით დაინტერესდა გვ.2



## საკრებულოში შვიდი პროექტი დამტკიცდა გვ.2

**ნომრის სტუმარი**

„მსურს, ადამიანებს ჰქონდეთ ნდობისა და სამართლიანობის განცდა, რათა იგრძნონ, რომ მათი შრომა მნიშვნელოვანია და ჩვენ ვაფასებთ თითოეულ მათგანს..."

ჯამბულ ჯაყელი გვ.4





## 1 ივნისი

ღონისძიებებით

# მაისობა ოკრიბაში

ზღვის დონიდან 1569 მეტრზე, იშვიათი სილამაზითა და უნიკალური მდებარეობით, ტყიბულის თავზე აზიდულ მთაზე - ცხრაჯვარის სალოცავი მდებარეობს.

ყოველი წლის მაისის ბოლო შაბათს (ძველით) ცხრაჯვარი განსაკუთრებულ სიცოცხლეს იძენს და დღესასწაულის სახეს ხვდება. წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი, ამ დღეს მომლოცველთა სიმრავლით ხარობს.



## ლეგენდა მოგვითხრობს:

სოფრომაძეების გვარს ღვთის რისხვა დასტყდომია თავს. ახალშობილი ძე სოფრომაძეები ვერაფრით აღწევდნენ სრულწლოვან ასაკს და იღუპებოდნენ. შეძრწუნებული მოსახლეობა, ერთ დღესაც, ღია ცის ქვეშ შეკრებილა და უფლისთვის უთხოვია, თითონ ძე გადაგვირჩინე, ჩვენ მტრედს აგაფრენთ და სადაც ის დაჯდება, იქ უფლის სადიდებლად სალოცავს აგაშენებთო... მართლაც, აუფრენიათ მტრედი უხუცეს სოფრომაძეებს, რომელიც თურმე ამ მთის თავზე დაფრენილა...

სულ ხელით უზიდავთ ქვები ძირიდან მთაზე და ცხრა ჯვარიც იქ დაუბრძანებიათ, დიდი შრომისა და წვალების შემდეგ მთაზე პატარა სალოცავი აუგიათ.

ლეგენდა თაობიდან თაობაზე გადადის... პატარა სოფელი, ძირითადად, ამ დღეს ერთიანად ივსება და მხიარულობს. „ცხრაჯვარობას" დღესასწაულზე, თეთრაძეებთან ერთად, მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იღებენ მომლოცველები მონაწილეობას.

## სამ მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ ობიექტზე სრული რეაბილიტაცია ხორციელდება გვ.3



ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia, Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

# გაზეთმა „ტყიბულმა“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების წესები დაარღვია

მუნიციპალიტეტის ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის „ტყიბული“-ს ივლისის ნომერში გამოქვეყნდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ელგუჯა გოცირიძის სააგიტაციო წერილი და სტატია.   ორივე შემთხვევაში, სტატიისა და სააგიტაციო წერილის სათაურამდე არ იყო წარწერა „უფასო პოლიტიკური რეკლამა“ ან „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“.

წარმოადგენს მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი  წესების დარღვევას, რას დაკავშირებით განცადება საია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარადგინა.